

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

ირაკლი კახიძე
Irakli Kakhidze

ძალაუფლების ეპიფენომენტა სტრუქტურული
ტრანსფორმაცია ინფორმაციულ საზოგადოებაში
**Structural Transformation of Power Epiphenomena
in Information Society**

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკური ფილოსოფია
Educational program: Political Philosophy

დისერტაცია წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის
Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

რეზიუმე
Abstract

თბილისი
Tbilisi
2022

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **თენგიზ ირემაძე,**
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის
ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებების
სკოლის საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის სახე-
ლობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. თბილისი, ირინა
ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ).

სარჩევი

შესავალი	4
საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა.....	4
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	5
კვლევის ჰიპოთეზა.....	6
სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი.....	7
კვლევის მეთოდოლოგია.....	8
კვლევის შედეგები.....	10
განსჯა და მეცნიერული მიგნებები	13
დასკვნა.....	16

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა

დისერტაციაში განხილულია ინფორმაციული საზოგადოების სპეციფიკა და ძალაუფლების გაგების სხვადასხვა მცდელობები, რომლის ფონზეც ახსნილია ძალაუფლების ტრანსფორმაციის ბუნება და მისი თავისებურებები თანამედროვე (ინფორმაციულ) საზოგადოებაში.

XX საუკუნეში დაწყებულმა ტექნიკურმა პროგრესმა 80-იან წლებში განსაკუთრებული განვითარება პოვა და უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალ ასპექტზე. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ცალსახად გამოიკვეთა ინფორმაციისა და თეორიული ცოდნის მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების ცხოვრებაში, რამაც საფუძველი დაუდო რევოლუციურ ცვლილებებს არაერთ სფეროში, შეცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების სტილი და მოახდინა საზოგადოების სტრუქტურული ტრანსფორმაცია.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თავად ცოდნამ შეიძინა ძალაუფლების რესურსის სტატუსი, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში ჩამოყალიბდნენ ახალი სოციალური ფენები, რომლებიც მოქნილნი და ადვილად ადაპტირებადნი არიან თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელ სოციალური ცვლილებების მიმართ.

ამის შედეგად გამოიკვეთა ინფორმაციული ძალაუფლების სოციო-კულტურული შედეგები: გასაოცარი სისწრაფით ვითარდება სატელეკომუნიკაციო ქსელები და ინფრასტრუქტურა, ინფორმაციული ნაკადები უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროებზე გავლენის მოპოვებისათვის.

ინტერნეტიზაცია, ინფორმაციის მიღებისა და სწრაფად გავრცელების საშუალებები იწვევს ინდივიდების ჩართულობისა და საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის განსაკუთრებულად ზრდას. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ძალაუფლების ეპიფენომენების მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, თანდათან ყალიბდება „ელექტრონული მმართველობის“ და „ელექტრონული დემოკრატიის“ მექანიზმები.

ასევე, ტრანსფორმირდება მედია ინსტიტუტები, ხოლო სოციალური მედია, თავის მხრივ, გახდა ძალაუფლების ტრანსფორმაციის საფუძველი, რადგან მისი როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ამდენად, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ჭრილში უმნიშვნელოვანესი საკითხია „ძალაუფლების ტრანსფორმაციის“ იდეა. საბოლოო ჯამში, ამის შედეგია სოციო-კულტურული ტრანსფორმაცია, რომელშიც ძალაუფლების არსებული მოდელი თვისებრივად ტრანსფორმირდება.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ცნება „ძალაუფლების ტრანსფორმაცია“ გულისხმობს არსებული ძალაუფლების სტრუქტურების თვისებრივ გარდაქმნას, ძალაუფლების ხელახალ გადანაწილებას და სოციალურ სტრატეფიკაციაში ფუნდამენტურ ცვლილებებს.

შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ძალაუფლების ტრანსფორმაციის ბუნების ახსნა, ახალი სტრატეფიკაციული სტრუქტურის თვისებურებების ჩვენება და აღნიშნული პროცესის მიზეზებისა და მექანიზმების იდენტიფიკაცია.

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვეთილი მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ✓ ინფორმაციული საზოგადოების და ძალაუფლების თეორიების ანალიზი;
- ✓ გლობალური „ინფორმატიზაციის“ კონტექსტში ცოდნის და ინფორმაციის ძალაუფლებაზე დეტერმინაციის ჩვენება;
- ✓ ინფორმაციულ საზოგადოებაში ტექნოლოგიური განვითარების დონიდან გამომდინარე, ახალი სოციალური სტრატეგიკაციის ჩვენება;
- ✓ ძალაუფლების ტრანსფორმაციის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფლების ხარისხის ურთიერთმიმართების თავისებურებების შესწავლა;
- ✓ არსებული ტრანსფორმაციის შედეგების ანალიზი საქართველოს მაგალითზე.

კვლევის ჰიპოთეზა

ინფორმაციულ საზოგადოებაში ძალაუფლების ტრანსფორმაციის შედეგად ხდება მისი თანმხლები მოვლენების, ეპიფენომენების ცვლილებები, რაც, საბოლოოდ, საზოგადოების სისტემური გარდაქმნის საფუძველია.

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ნიშანია საზოგადოების სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია (რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ძალაუფლების ტრანსფორმაციაა), რომელიც ქმედით და ნაყოფიერ კორელაციაშია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფლების ხარისხის გაძლიერებასთან.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები თავად ახდენს გავლენას თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზე - სოციალურ მედიაზე. ცხადია, ეს გავლენა იმასაც გულისხმობს, რომ სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანებზე მანიპულირების ტექნიკები, თუმცა საინფორმაციო

არხების ნაკლებად მონოპოლიზაციისა და ინდივიდების ელექტრონული ჩართულობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში გარდაუვლად იზრდება დემოკრატიზაციის დონეც.

სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ძალაუფლების კონცეფციების არაერთი კლასიფიკაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ ის განვიხილოთ სხვადასხვა პოზიციიდან: თითოეულს გამოყენების საკუთარი დარგი აქვს, შესაბამისად, თავიანთი უპირატესობა და ნაკლოვანებები. აღნიშნულის მიუხედავად, ძალაუფლების თეორიების ყველაზე ვალიდურ კლასიფიკაციად გვესახება მათი გახილვა შემდეგი ორი მიმართულებით:

პირველ მიმართულებას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ კლასიკური, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება ძირითადად ხორციელდება დაქვემდებარებულების ნების საწინააღმდეგოდ და არსებობს მხოლოდ პოტენციური კონფლიქტის ველში. აქ ძალაუფლების საფუძველად გვევლინება სუბიექტის ნიჭი, ნება და სხვა პიროვნული თვისებები. ძალაუფლების გაგების აღნიშნული მიდგომა სათავეს იღებს თ. ჰობსის ნააზრევიდან და წარმოდგენილია მ. ვებერის, ფ. ნიცშეს, რ. დაჰლის და სხვათა ნაშრომებში.

ძალაუფლების მეორე ასპექტს ასევე პირობითად ვუწოდებთ კონსესუსურს; ის დამახასიათებელია ძალაუფლების თანამედროვე ინტერპრეტაციებისთვის: ძალაუფლება ხორციელდება იმ საზოგადოებაში, სადაც ძალაუფლების მიზანი და ამოცანა მისაღებია, შესაბამისად, მას იზიარებენ დაქვემდებარებულები.

ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ძალაუფლების ლეგიტიმურობაზე არა ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების მიმართ, არამედ მთლიანად საზოგადოებისადმი. აღნიშნული მიდგომა მოცემულია ტ. პარსონსის, ჰ. არენდტის, მ. ფუკოს და სხვათა ნაშრომებში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ ნაწილში ძალაუფლების თეორიული ასპექტები სწორედ ზემოთ მოყვანილი ორი მიმართულების ჭრილშია განხილული.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაციული საზოგადოების არსი და მისი თეორიული ინტერპრეტაციები. ანალიზის დროს მოხმობილია ისეთი ავტორები, როგორებიცაა: დ. ბელი, ე. ტოფლერი, მ. კასტელსი, ჰ. შილერი და ა.შ.

ნაშრომის მესამე ნაწილი კი ეძღვნება ძალაუფლების ტრანსფორმაციის სხვადასხვა გამოვლინებას, რაც ნაჩვენებია მერიტოკრატიის პრინციპების დანერგვის, სოციალური მედიის ძალაუფლების და „ელექტრონული დემოკრატიის“ მაგალითებზე.

კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომში - დასახული კვლევითი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე - გამოყენებული იქნა კომპარატივისტული მეთოდი, რის საფუძველზეც მოხდა ძალაუფლებისა და ინფორმაციული საზოგადოების განსხვავებულ თეორიათა შედარებითი განხილვა/ანალიზი. ამასთანავე, ნაშრომში წარმოდგენილი ძალაუფლების თეორიები სცდება მხოლოდ ერთი დისციპლინის ფარგლებს და ამიტომ მასში გამოყენებული იქნა ინტერდისციპლინარული კვლევითი მეთოდოლოგიაც.

შესასწავლი საკითხების შესახებ ემპირიული ინფორმაციის მოსაპოვებლად შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ და დოკუმენტების ანალიზი. ვინაიდან თვისებრივ კვლევას აქვს კონკრეტული შეზღუდვები, რაც გამოორიცხავს მონაცემების რაოდენობრივ ჭრილში განხილვას, აღნიშნული საკითხი გადაიჭრა მეორადი მონაცემების გამოყენებით, რომელიც მოპოვებული იქნა სხვადასხვა ადმინისტრაციული და სამეცნიერო წყაროდან.

სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით განხორციელდა ძალაუფლების ეპიფენომენების ტრანსფორმაციის პროცესზე დაკვირვება და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან, რამაც ქართულ რეალობაში ამ პრობლემის იდენტიფიკაციისა და მისი მრავალმხრივი დაკვირვების შესაძლებლობა მოგვცა. რაც შეეხება დოკუმენტების ანალიზის მეთოდს, მან საშუალება მოგვცა დაკვირვებოდით საქართველოში ძალაუფლების ტრანსფორმაციის ცალკეულ ინდიკატორებს, კერძოდ კი, „ელექტრონული დემოკრატის“ პრინციპების დანერგვის მექანიზმებსა და განვითარების ტენდენციებს.

ნაშრომში ძალაუფლების ტრანსფორმაციის პრობლემა ძირითადად განხილულია სამ ჭრილში: მერიტოკრატია, მედიის ტრანსფორმაცია და ელექტრონული დემოკრატია; ამის შესაბამისად გამოიყო რესპონდენტთა სამი ჯგუფი:

- 1) მედია ექსპერტები;
- 2) პოლიტოლოგები და სოციოლოგები;
- 3) ელექტრონული დემოკრატის ექსპერტები;

აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევი პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით ვერ გადაიჭრებოდა დისერტაციაში დასმული ძირითადი ამოცანები, ვინაიდან ძალაუფლების ტრანსფორმაციის თავისებურებების კვლევა შედგება უამრავი განსხვავებული ფაქტორისა და კომპონენტისგან, რომლის გაზომვაც - დასმული საკითხის სპეციფიკურობის გამო - რაოდენობრივი მეთოდით რელევანტური ვერ იქნებოდა.

კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ ქართველ ექსპერტებში უფრო მეტად ე.წ. „კიბერ-ოპტიმისტური“ პოზიციას დომინანტური. კერძოდ, ინტერნეტი და სოციალური მედია თანამედროვე საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ინიცირებას ახდენს და დემოკრატიზაციის პროცესში პოზიტიურ როლს თამაშობს, რასაც ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

✓ საქართველოში სოციალური მედიის გავლენა მზარდია და გადაწყვეტილებების მიმღებნი უფრო და უფრო იძულებული ხდებიან ანგარიში გაუწიონ „ახალ მედიაში“ წამოჭრილ პრობლემებს;

✓ იმის მიუხედავად, რომ ტრადიციული მედიის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია და ამ ეტაპზე იმაზე მეტად გავლენიანია, ვიდრე სოციალური მედია, ეს გავლენა არ არის თვითმყოფადი, რადგანაც თავად ტრადიციული მედია არ არის დამოუკიდებელი თავის ქმედებებში და პოლიტიკური პროცესების გავლენის ქვეშაა;

✓ ინტერნეტის თავისუფლების კუთხით რესპონდენტები ვერ ხედავენ რაიმე მნიშვნელოვან შეზღუდვას; ამ თვალსაზრისით საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს;

აქვე აღსანიშნავია, რომ, დადებით ფაქტორებთან ერთად, რესპონდენტებმა იმ უარყოფით ფაქტორებზეც გაამახვილეს ყურადღება, რომლებიც, მათი შეფასებით, პროცესის პოზიტიურ განვითარებას ხელს უშლის. კერძოდ:

✓ მიუხედავად საქართველოში ინტერნეტიზაციის მზარდი ტენდენციისა, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ აქვს ინტერნეტზე წვდომის პრობლემა;

✓ საქართველოში მაღალია „ციფრული უთანასწორობის“ დონე, რაც გულისხმობს განსხვავებულობის მაღალ ხარისხს ინფორმა-

ციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან წვდომის მქონე და არ მქონე პირებს შორის;

✓ პოლიტიკოსები სოციალურ ქსელში ხშირად იქმნიან ე.წ. „კომფორტულ ზონას“, რადგანაც თავიანთ ამომრჩეველს იმ „ფრენ-დებთან“ აიგივებენ, ფეისბუქზე რომ ჰყავთ (ისინი, ჩვეულებრივ, მამებლობით და ხშირად უპირობო მხარდაჭერით გამოირჩევიან); ამიტომ ქართულ რეალობაში სოციალურ მედია, ხშირად, „გამოგონილ რეალობაში“ აცხოვრებს ადამიანებს;

✓ საქართველოში ძალიან მაღალია სოციალური ქსელების მოხმარების მაჩვენებელი, რომლებიც ხშირად ასრულებს მხოლოდ საკომუნიკაციო ან „ინფო გართობის“, მაგრამ არა შემეცნებით ფუნქციებს;

✓ ქართულ სოციალურ მედიაში დიდწილად არის წარმოდგენილი „ფეიკ“ და გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რაც საზოგადოების დეზინფორმირებულობას, ფრაგმენტაციასა და პოლარიზაციას იწვევს;

✓ ზოგჯერ ინტერნეტი სოციალურ და პოლიტიკურ აქტივიზმზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, რადგანაც მომხმარებლის აქტიურობა ხშირად მხოლოდ „ონლაინ“ აქტივიზმით შემოიფარგლება და პროტესტის თუ ინიციატივის რეალურ სივრცეში გადატანა არ ხდება;

✓ ზოგიერთი მოსაზრებით, სოციალური მედია, თავისი არსით, არის „პროტესტის მედია“ და აქ არ იქმნება პოლიტიკური დისკურსები და კონსენსუსი, რადგანაც საზოგადოებრივი აზრი ძალიან ჭრელია, რამაც, საბოლოო ჯამში, „კონტრდემოკრატიაც“ კი შეიძლება მოიტანოს;

✓ ელექტრონული დემოკრატიის პლატფორმების დანერგვა, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებების მხრიდან ფორმალურ ხასიათს ატარებს, მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულებების გამო ხდება და შესაბამისად არაეფექტურია;

✓ ელექტრონულ ჩართულობაში, კერძოდ, პეტიციებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მცირე ნაწილი მონაწილეობს, რაც განპირობებულია საზოგადოების ნიჰილიზმით, განცდით, რომ მათ აქტიურობას აზრი არ აქვს;

✓ „ელექტრონული ხმის მიცემის“ მექანიზმების დამკვიდრებასთან დაკავშირებული პრობლემები კიბერუსაფრთხოებასა და „ციფრული წიგნიერების“ დაბალ დონეს უკავშირდება;

რაც შეეხება ელიტების ფორმირებას საქართველოში, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა, ინფორმაციული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს მერიტოკრატიული პრინციპების დანერგვა წარმოადგენს. რესპონდენტები ამ თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად დადებით ტენდენციებს გამოყოფენ, მაგრამ მაინც ჭარბობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შეფერხებები არსებობს.

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ელიტების „ცირკულაცია“ საქართველოში კლასიკური გაგებით არ განხორციელებულა და უფრო მეტად სახეზე გვაქვს ელიტების „რეპროდუცირება“. თუმცა, აქვე არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად 2003-2012 წლებში „ელიტების ცირკულაციის“ შედარებით მკაფიო გამოვლინებისა, მასშიც მძლავრად იყო „კვაზი მერიტოკრატიის“ ნიშნები. რესპონდენტები არსებული მდგომარეობის გამომწვევ შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ:

✓ მმართველი ელიტა მეტწილად ყალიბდება კლანური ნიშნით, ელიტაში დამკვიდრების უმთავრეს პირობას კი წარმოადგენს არაფორმალური კავშირები, კონკრეტული კლანისადმი მიკუთვნებულობა და კლანის ლიდერისადმი/ უფროსისადმი ლოიალური დამოკიდებულება;

✓ პოლიტიკური და ბიზნეს ელიტა შერწყმულია ერთმანეთთან, რაც პოლიტიკური პროცესების ოლიგარქიზაციის რისკებს ქმნის;

- ✓ თანამედროვე საქართველოში - კარიერული წინსვლის გზაზე - ნეპოტიზმი უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს;
- ✓ სახელმწიფო ჩინოვნიკები უფრო არსებული თანამდებობების შენარჩუნებით არიან დაკავებული, ვიდრე, მერიტოკრატიის სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიკაციის ამაღლებით და შესაბამისი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებით;
- ✓ საქართველოში საჯარო სტრუქტურებში კარიერული წინსვლის კრიტერიუმები არ არის ფორმალიზებული და ხშირად უფროსის სუბიექტურ შეხედულებებზეა დამოკიდებული;
- ✓ ხშირად, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში ხელმძღვანელი პირი მართვის სფეროების „პრივატიზებას“ ახდენს, რის გამოც მისი ძალაუფლების არეალი პირად სამფლობელოდ აღიქმება და, შესაბამისად, ძალაუფლების გამოყენებაც ამ მიდგომის მიხედვით ხორციელდება.

განსჯა და მეცნიერული მიგნებები

ძალაუფლების გააზრების თვალსაზრისით დიდი როლი ითამაშა არა მხოლოდ თეორიულმა მიდგომებმა, არამედ საზოგადოებაში დაწყებულმა იმ ძვრებმა, რომლებიც უკავშირდება ურბანიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და ა.შ. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება, რამაც, თავის მხრივ, მოიტანა ძალაუფლების სტრუქტურული ტრანსფორმაცია.

ხსენებულმა პროცესებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებას, რომელმაც, თავის მხრივ, მოიტანა კომუნიკაციის სრულიად ახალი სტანდარტები; ეს კარგად ჩანს მედიის სფეროში არსებულ ტრანსფორმაციაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოციალური მედიის მნიშვნელობა, რომელიც, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, დიდ

როლს თამაშობს ინდივიდის იდენტობის კონსტრუირებიდან დაწყებული ძალაუფლებრივი ურთიერთობების ჩათვლით.

ამავე დროს, სოციალური მედიისგან მომდინარე პოზიტიური შედეგები არ არის ცალსახა; ამიტომ პოტენციური შედეგების მოკლედ სტრუქტურირება შესაძლებელია ოპტიმისტური და სკეპტიკური მიდგომების სახით:

✓ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდა უზარმაზარი ინფორმაცია;

✓ სოციალური მედია ხელს უწყობს ინდივიდების თვითრეზონანსის და სოციალური კაპიტალის აკუმულირებას;

✓ მომხმარებელი არ არის ინფორმაციის პასიური მიმღები და მას აქვს შესაძლებლობა თავადაც გახდეს ინფორმაციის როგორც შემქმნელი, ასევე გამავრცელებელი;

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად არაერთი უპირატესობისა, სოციალური მედიის ფუნქციების მიმართ არ არის ცალსახად დადებითი განწყობა, რაც რამდენიმე თეზისით შეიძლება შევაჯამოთ:

✓ ინფორმაციის სიუხვე ქმნის რისკებს, რომ მომხმარებელი დეზინფორმაციის ან „ინფორმაციული ფასტ ფუდის“ მსხვერპლი გახდეს, შესაბამისად, მისი შემეცნებითი თვალსაწიერი კი არ ფართოვდება, პირიქით, იზღუდება და „ინფორმაციული ნაგვით ივსება“;

✓ სოციალური მედიით ფორმირებული სოციალური ჯგუფის კავშირები ან ილუზორულია ან ძალიან სუსტი;

✓ სოციალური მედია ტრადიციულთან შედარებით ჯერ კიდევ მოქალაქეთა შედარებით მცირე ჯგუფებისთვისაა ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ადგილი აქვს „ციფრულ უთანასწორობას“;

- ✓ სოციალური მედია შეიცავს ინდივიდის პრივატულობის დარღვევის მაღალ რისკ-ფაქტორებს;
- ✓ ჩნდება რეალობის და ვირტუალობის აღრევის საფრთხე.

ჩემი აზრით, სოციალური მედიის დადებითი ფუნქციები და მახასიათებლები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უარყოფითი. ამდენად, იგი უნდა განვიხილოთ როგორც პოზიტიური მოვლენა, რომელმაც უამრავ ცვლილებას დაუდო სათავე. პირველ რიგში, სოციალური მედიით გამოწვეული ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება საზოგადოების უკეთ ინფორმირებულობის, დემოკრატიის ხარისხის და ინდივიდის თვითრეალიზაციის განუხრელ ზრდასთანაა დაკავშირებული.

საკომუნიკაციო სფეროში არსებულმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა და სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების ჩართულობა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, ახლებურად დააყენა საზოგადოებასა და ძალაუფლების მატარებელთა შორის კომუნიკაციის საკითხი.

ინფორმაციულ საზოგადოებაში მოქალაქეების მიერ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის კომპონენტი არის უმნიშვნელოვანესი თანამედროვე საზოგადოების სპეციფიკის და ძალაუფლების ტრანსფორმაციის გასააზრებად.

ინფორმაციული საზოგადოების ისეთმა უმნიშვნელოვანესმა მექანიზმებმა, როგორცაა ელექტრონული დემოკრატია და ელექტრონული მმართველობა, სტიმული მისცა პოლიტიკური სისტემის ეფექტურობას და გაზარდა შესაძლებლობა ყურადღებით იქნეს აღქმული საზოგადოების მოთხოვნილებები.

ძალაუფლების ტრანსფორმაციის პროცესმა მიგვიყვანა ძალაუფლების მატარებელთა კლასის ფუნდამენტური ცვლილებების პროცესთან. მან, ასევე, მნიშვნელოვნად შეიცვალა ძალაუფლებაზე ზემოქმედების და მისი განხორციელების მექანიზმები.

როგორც უკვე აღინიშნა, მერიტოკრატია ახალი ტიპის ელიტას აღნიშნავს, რომლის წარმატების უმთავრეს თავისებურებას ცოდნა და კომპეტენცია წარმოადგენს. აღნიშნული იდეა არ არის თვისებრივად ახალი მოცემულობა, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში მერიტოკრატის საკითხი სრულიად განსხვავებულად დადგა. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოებისა და ძალაუფლების ტრანსფორმაციის თანამდევნი შედეგი იყო სწორედ ასეთი კლასის ჩამოყალიბება. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე ვმსჯელობთ საზოგადოების ტრანსფორმაციის რეალურ შედეგებზე და არა ხელოვნურ, უტოპიურ მოდელზე.

ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილ დისერტაციაში კარგად ჩანს, ძალაუფლებისა და მისი ეპიფენომენების ტრანსფორმაციის შედეგების მნიშვნელობა საზოგადოებისთვის, რაც მისი სტრუქტურების ფუნდამენტურ ცვლილებებს იწვევს. აღნიშნული შედეგები ეხება ნებისმიერი ადამიანის ყოველდღიურობასა და ცხოვრების წესს, ხოლო ტრანსფორმაციის პროცესი პოზიტიურ მიმართებაშია დემოკრატიზაციის პროცესთან.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო იმის ჩვენება, თუ რა განაპირობებს ძალაუფლების ეპიფენომენების სტრუქტურულ ტრანსფორმაციას თანამედროვე (მათ შორის, ქართულ) საზოგადოებაში, რა თავისებურებანი ახლავს მას და რა სირთულეები და გამოწვევები არსებობს აღნიშნული ტრანსფორმაციის გზაზე.

ნაშრომში განხილულია ძალაუფლების გაგების ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მცდელობა, ნაჩვენებია, თუ რა გზები გაიარა ძალაუფლებაზე რეფლექსიამ ანტიკური ეპოქიდან დღემდე და რა ფაქტორები განსაზღვრავდა მას.

წარმოდგენილ დისერტაციაში გაანალიზებულ იქნა ინფორმაციული საზოგადოების თეორიული წანამდგერები, რომლებმაც

საფუძველი მოამზადა თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურული ტრანსფორმაციისათვის.

დისერტაციაში ასევე შესწავლილ იქნა ძალაუფლების ის ეპიფენომენები, რომლებიც საკვანძო მნიშვნელობისაა და მკაფიოდ აჩვენებს ძალაუფლების ტრანსფორმაციის განმაპირობებელ ძირითად მიზეზებს.

დისერტაციის ემპირიულ ნაწილში განხორციელდა საკვლევი პრობლემის ქართულ რეალობაში შესწავლაც, რისთვისაც გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომელმაც მოგვცა არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა.

კვლევის შეზღუდული მასშტაბისა და საკვლევ პრობლემაზე ფოკუსირების გამო, ვერ მოხერხდა ტრანსფორმაციის შედეგების სათანადოდ ჩვენება ყველა მიმართულებით, თუმცა კვლევაში მოტანილი მსჯელობები და არგუმენტები ნათელს ხდის საერთო სურათს და გვაძლევს კვლევის შედეგებში ტრანსფორმაციის მასშტაბურობის ადეკვატურ ასახვას.

სადისერტაციო ნაშრომი აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ მასში, გარდა თეორიული ასპექტებისა, გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციებიცაა შემუშავებული. მათი განხორციელება კი მიზანშეწონილია ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგების საფუძველზე:

✓ იმისათვის, რომ საქართველოში უფრო ხელშესახები გახდეს ინფორმაციული საზოგადოების მიერ გამოწვეული სიკეთეები, სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს ინტერნეტიზაციის მასშტაბების ზრდას, რათა მან მაქსიმალურად მოიცვას მოსახლეობა; არსებული ინტერნეტიზაციის მასშტაბები ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების ტემპს.

- ✓ „ციფრული უთანასწორობის“ პრობლემის გადასაჭრელად სასურველია მაქსიმალურად მოხდეს უფროსი (საპენსიო ასაკის მოქალაქეების) თაობის განსწავლა კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში;
- ✓ მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება იმ ბერკეტების თაობაზე, რომელიც მათ აქვთ ელექტრონული ჩართულობის და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით;
- ✓ სასურველია გადაწყვეტილების მიმღებებმა გაზარდონ ძალისხმევა და წახალისონ ელექტრონული ჩართულობის გამოვლინებები, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, რაც აუცილებელია აღნიშნული პროცესისთვის მასშტაბურობის შეძენის თვალსაზრისით;
- ✓ რადგან სოციალური მედია - ბევრ სიკეთესთან ერთად - ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს დეზინფორმაციისა და პროპაგანდისათვის, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ეფექტური სტრატეგია რუსული და ანტიდასავლური პროპაგანდისგან თავის დასაცავად;
- ✓ იმისათვის, რომ დამკვიდრდეს მერიტოკრატიული მართვის პრინციპები ქართულ საზოგადოებაში, მნიშვნელოვანია შეიქმნას და პრაქტიკულად განხორციელდეს კარიერული წინსვლის ქმედითი ფორმალიზებული მექანიზმები და ეს უპირველესად უნდა მოხდეს საჯარო სამსახურებში.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Irakli Kakhidze

**Structural Transformation of Power Epiphenomena
in Information Society**

Educational program: Political Philosophy

Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

Abstract

Tbilisi
2022

Grigol Robakidze University

Thesis supervisor: **Tengiz Iremadze**,
Doctor of Philosophy, Professor

Thesis defense date will be published on the University webpage:
www.gruni.edu.ge

Thesis will be defended at the session of the Attestation-Expert Committee of School of Humanities and Social Sciences, Grigol Robakidze University

Thesis is available for review in the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, Irina Enekidze№ 3 (David Agmashenebeli Ave.,13)

Table of Content

Introduction	22
The research subject and actuality.....	22
Research objective and task.....	23
Research hypothesis.....	24
Brief review of scientific literature and theoretical context of research	24
Research methodology.....	25
Research outcomes	26
Judgement and scientific findings	30
Conclusion	32

Introduction

The research subject and actuality

The Doctoral Thesis discusses specific nature of information society and various attempts of understanding power and nature of power transformation, and its peculiarities in the modern (information) society.

The technical progress of the 20th century achieved tangible results in 1980s and since then greatly influenced many aspects of social activities. Since that period, a significant role of information and theoretical knowledge in the life of society was accentuated, laying basis for revolutionary changes in many areas, changing the everyday lifestyle of people and carrying out structural transformation of society.

It is particularly noteworthy that knowledge acquired a status of power resource, new social layers were formed in the fields of education and science and they were flexible and easily adaptable to the social changes common for the modern world.

As a result, socio-cultural outcomes of information power were observed: telecommunication networks and infrastructure were developing surprisingly rapidly, flows of information became the most significant factor for gaining influence on the the sectors of economy and politics.

Internetization, means of receipt and rapid dissemination of information lead to engagement of individuals and particular increase of importance of public opinion. This preconditions significant transformation of power epiphenomena, mechanisms of "electronic governance" and "electronic democracy" are gradually being formed.

Media institutes are also being transformed and social media has become a basis for power transformation, as its role in the process of formation of public opinion becomes more and more important.

Thus, in terms of information society development, the idea of "power transformation" has become the most important. Ultimately, this results in socio-cultural transformation in which the existing model of power is qualitatively transformed.

Research objective and tasks

The concept "power transformation" implies qualitative transformation of the existing power structures, new distribution of power and fundamental changes in the social stratification.

Therefore, the objective of the thesis research is to explain the nature of transformation, show peculiarities of new stratification structures and identify reasons and mechanisms of this process.

The following tasks were identified to achieve the objective of the thesis:

- ✓ Analyze theories of information society and power;
- ✓ Determination of knowledge and information power was demonstrated in the context of global "Informatization";
- ✓ Show the new social stratification based on the level of technological development in the information society;
- ✓ Identify relationship of power transformation to democratic institutions and level of freedom;
- ✓ Analyze the existing transformation results through the example of Georgia.

Research hypothesis

As a result of power transformation in information society, accompanying phenomena, epiphenomena, change; which finally becomes the ground for systemic transformation of society.

The most significant characteristic of the modern age is socio-cultural transformation of society (one of its components is transformation of power), which is in an effective and fruitful correlation with enhancement of democratic institutions and level of freedom.

It should be mentioned that the above changes influence the most significant institute of the modern society – social media. Certainly, this influence also implies that human manipulation techniques become more important, however, under conditions of less monopolization of information channels and significant increase of electronic participation of individuals, the level of democratization inevitably increases.

Brief review of scientific literature and theoretical context of research

A number of classifications of power concepts are found in the scientific literature, allowing to review them from various points of view: each of them have their own field of application and therefore, their advantages and drawbacks. Despite the above, the most valid classification of power theories is to review them in two following directions:

The first direction may be conditionally called a classic condition, according to which, power is mainly exercised against the will of subordinates and exists only in the field of potential conflict. Here, the basis of power is the subjects talent, will and other personal qualities. This understanding of power originates from the ideas of T. Hobbs and is found in the works of M. Weber, F. Nietzsche, R. Dahl etc.

The second aspect of power, also conditionally, is called consensual; it is common for the modern interpretation of power; power is exercised in

the society where the goal and task of power are acceptable and are shared by the subordinates.

In this case, legitimate nature of power is accentuated not in respect to separate individuals or groups, but in respect to the society as a whole. This approach is shown in the works of T. Parsons, H. Arendt, M. Foucault etc.

In the first part of the thesis, theoretical aspects of power are reviewed in terms of the above two directions.

The second part of the thesis provides the idea of information society and its theoretical interpretations. During the analysis, authors, such as D. Bell, A. Toffler, M. Castells, H. Schiller etc. are mentioned.

The third part of the thesis is dedicated to various manifestations of power transformation shown through the examples of introduction of meritocracy principles, power of social media and electronic democracy.

Research methodology

Based on the set objectives and tasks, comparative method was used in the thesis, based on which various theories of power and information society were comparatively reviewed/analyzed. At the same time, the theories of power presented in the thesis go beyond the scope of one discipline and therefore, interdisciplinary research methodology was also used.

Qualitative research method, in particular, in-depth interview and document analysis, were selected for obtaining empirical information about the issues under study. As qualitative research has specific restrictions, which excludes review of data in quantitative terms, this issue was resolved using secondary data obtained from various administrative and scientific sources.

Using the in-depth interview method, the process of power epiphenomena transformation was monitored and in-depth interviews were conducted with respective target groups, allowing us to identify this problem and observe it comprehensively in Georgia. As for the document analysis method, it allowed us to observe various indicators of power transformation in Georgia, in particular, mechanisms of introduction of "electronic democracy" principles and its development trends.

The power transformation problem is reviewed in the thesis from three points of view: meritocracy, media transformation and electronic democracy; accordingly, three groups of respondents were identified:

- 1) Media experts;
- 2) Politologists and sociologists;
- 3) Electronic democracy experts.

It should also be mentioned that due to the specific nature of the problem under research, the main objectives raised in the thesis could not have been resolved by quantitative research method, because research of power transformation peculiarities consists of numerous different factors and components, which could not have been measured using the quantitative research method due to the specific nature of the raised issue.

Research outcomes

Outcomes of the qualitative research have shown that the so-called "cyber-optimistic" position is more dominant among the Georgian experts. In particular, Internet and social media initiate social-political changes in the modern Georgia and play a positive role in the process of democratization, which is facilitated by the following factors:

✓ The influence of social media is increasing in Georgia and decision-makers are gradually becoming forced to take the problems raised in the "new media" into consideration;

✓ Despite the fact that the role of traditional media in social-political processes is very important and at this stage is more influential than social media, this influence is not original, because traditional media itself is not independent in its actions and is under influence of political processes;

✓ In terms of freedom of Internet, respondents do not see any significant restriction. In this regard, Georgia is a leader country in the post-Soviet space;

It is noteworthy that together with positive factors, respondents focused on negative factors too which according to their evaluation, hinder positive development of the process. In particular:

✓ Despite the increasing trend of Internetization in Georgia, significant part of society does not have access to the Internet yet;

✓ The level of "digital inequality" is high in Georgia, which implies a high level of difference between people having and not having access to information communication technologies;

✓ Politicians often create a so-called "comfort zone" in social networks, as they equalize their electors with their Facebook friends (as a rule, they are flattering and often expressing unconditional support); Thus, in Georgia, social media often makes people live in the "illusory reality";

✓ There is a very high index of social network use in Georgia, which often perform only communication or "informational entertainment" functions, but not cognitive functions;

- ✓ Mostly fake and unverified information is presented in the Georgian social media, which leads to misinformation, fragmentation and polarization of society;
- ✓ Sometimes, Internet exerts a negative influence on social and political activity, because a user's activity is often limited to "online" activity only and protest or initiative do not take place in reality;
- ✓ According to some opinions, social media is a "protest media" by its nature and political discourse and consensus are not created here, because public opinion is very diverse and may finally even bring "counter-democracy";
- ✓ Frequently, introduction of electronic democracy platforms from the part of the government is formal, occurs only because of international commitments and therefore, is ineffective;
- ✓ Small part of population participates in electronic engagement, in particular, filing petitions and decision-making process, which is preconditioned by nihilism of society, the feeling that their activity does not make a sense;
- ✓ Problems related to introduction of "e-voting" mechanisms are associated with cyber security and low level of "digital literacy";

As for formation of elites in Georgia, as it has been repeatedly mentioned, one of the significant indicators of creation of information society is introduction of meritocracy principles. Respondents identify more or less positive tendencies in this regard, but the prevailing opinion is that there are significant obstacles in this direction.

Experts agree that "circulation" of elites has not taken place in Georgia classically and this is rather a "reproduction" of elites. However, there is an opinion that despite a comparatively clear demonstration of "elite circulation" in 2003-2012, it also contained strong signs of "quasi-

meritocracy". Respondents refer to the following factors as causes of the existing situation:

- ✓ The ruling elite is mostly formed by clan members and the most significant condition for becoming a part of elite is informal ties, belonging to a certain clan and loyalty to the clan leader/head;
- ✓ Political and business elites are merged with each other, creating risks of oligarchization of political processes;
- ✓ In the modern Georgia, nepotism represents a most significant problem in career-building;
- ✓ State officials are more interested in maintaining their positions, rather than in their professional development and improvement of respective skills, according to meritocracy standards;
- ✓ Criteria for career advancement in public structures of Georgia are not formalized and often depend on subjective opinions of the manager;
- ✓ Often, the manager "privatizes" the management spheres both in the public and in private sectors and therefore, the area of his/her power is perceived as the personal domain and therefore, power is used according to this approach.

Judgement and scientific findings

In terms of understanding power, not only theoretical approaches but also the changes which began in the society in connection with urbanization, scientific-technical progress, etc, played a big role. These processes caused the change of the social-economic structure of society, which on its part, led to structural transformation of power.

The above processes laid grounds for the modern information society, which on its part, brought absolutely new standards of communication; This is well seen in the transformation of media.

Significance of social media must be emphasized, which based on its functions, plays a big role in building the identity of an individual and power relations as well.

At the same time, the positive results arising out of the social media are not definite; therefore, it is possible to structure potential results briefly in the form of optimistic and sceptical approaches:

- ✓ Huge information has become available to users;
- ✓ Social media facilitates self-presentation of individuals and accumulation of social capital;
- ✓ Users are not passive recipients of information and they have an opportunity to become creators and disseminators of information;

As already mentioned, despite a number of advantages, there is not a definitely positive attitude to the social media functions, which may be summarized as follows:

- ✓ Abundance of information creates risks that a user may become a victim of misinformation or "informational fast food", therefore, his/her

cognitive vision is not widened, but on the contrary, it narrows and "becomes filled with informational garbage";

- ✓ Ties of the social group formed by social media are either illusory or very weak;
- ✓ Social media is available to relatively small groups of citizens compared to the traditional media and therefore, "digital inequality" occurs;
- ✓ Social media contains high risk factors of violation of an individual's privacy;
- ✓ A threat of confusion of reality and virtual reality occurs;

In my opinion, the positive functions and characteristics of social media are much more than negative ones. Thus, it must be viewed as a positive phenomenon which laid grounds for many changes. First of all, the most significant change caused by social media is associated with continuous increase of public awareness, level of democracy and an individual's self-realization.

The fundamental changes in the field of communication and social media significantly increased engagement of society in social and political processes, raised the issue of communication between society and power-holders in a new manner.

In information society, the component of participation of citizens in decision-making is the most significant for understanding the specific nature of society and transformation of power.

The most significant mechanisms of information society, such as electronic democracy and electronic governance gave an impetus to efficiency of the political system and increased the possibility of careful perception of society's needs.

The power transformation process has brought us to the process of fundamental changes of the class of power-holders. It also significantly changes the mechanisms of influence on power and exercising the power.

As already mentioned, meritocracy means a new type of elite and the most significant factors of its success are knowledge and competence. This idea is not a qualitatively new reality, but in the modern society, the issue of meritocracy was raised in an absolutely different manner. It may be said that formation of such class may be a result of transformation of states and power. In this case, we are already discussing the actual results of society's transformation and not the artificial, utopian model.

We think that significance of outcomes of transformation of power and its epiphenomena for society, which leads to fundamental changes of its structures, is seen well in the submitted thesis. The above outcomes affect the everyday life of any human and the transformation process is positively related to the process of democratization.

Conclusion

The objective of the thesis was to show what predetermines the structural transformation of power epiphenomena in the modern society, what peculiarities are associated with it and what difficulties and challenges exist in the process of this transformation.

In the thesis, we reviewed all more or less significant attempts of understanding power, showed the path taken by reflection on power from the antique epoch to present and the factors which defined it.

In the submitted thesis, theoretical preconditions of information society were analyzed which laid a basis for structural transformation of the modern society.

The power epiphenomena which are of key importance and clearly show the main causes of power transformation were also addressed in the thesis.

In the empirical part of the thesis, the research problem was also examined in Georgia and for this purpose, qualitative research methods were used, allowing us to make a number of significant conclusions.

Due to the limited scale of the research and focusing on the research problem, the transformation results could not be shown properly in all directions, however the judgements and arguments provided in the research make the total picture clear and adequately reflect the magnitude of transformation in the research results.

The thesis is also topical due to the fact that apart from theoretical aspects, certain practical recommendations are developed in it. It is expedient to carry out these recommendations on the basis of results of the empirical research conducted by me:

- ✓ In order to make the good things brought by information society more perceivable in Georgia, increasing of the level of Internetization to ensure that the population is covered to the maximum extent must become a priority for the government; the existing level of Internetization is significantly lower than in developed countries.
- ✓ To resolve the problem of "digital inequality", the senior generation (citizens of pension age) must be trained in computer skills to the maximum extent;
- ✓ It is necessary to raise public awareness regarding the leverages they have in terms of electronic engagement and decision-making;
- ✓ The government must enhance efforts and stimulate the facts of electronic engagement both at the central and the local level, which is necessary in terms of ensuring large scale of this process;

- ✓ As social media, apart from many good things, represents a solid ground for misinformation and propaganda, an effective strategy must be developed to protect from the Russian and anti-Western propaganda;
- ✓ In order to introduce meritocratic governance principles in the Georgian society, it is necessary to create and exercise the effective formalized mechanisms of career advancement and first of all, this must be done in public offices.